

Gewalt

Die Bedeutung des Begriffs der „Gewalt“, insbesondere im Hinblick auf dessen Grenzen, ist im **deutschen Strafrecht** umstritten. Einigkeit besteht allerdings darin, dass der Gewaltbegriff stets deliktsspezifisch zu interpretieren und bei der Widerstandsleistung gegen Vollstreckungsbeamte (§ 113 dStGB) enger zu verstehen ist als bei der allgemeinen Nötigung (§ 240 dStGB). Im Rahmen von § 113 dStGB gilt Gewalt als eine gegen den Amtsträger gerichtete – und von diesem auch als solche empfundene – aktive körperliche Kraftentfaltung, die nach der Vorstellung des Täters geeignet ist, die Vollstreckungshandlung zu verhindern oder zu erschweren (z.B. durch Schlagen oder Einsperren). Rein passives Verhalten (z.B. Nichtbefolgen einer Anweisung/Aufforderung) stellt hingegen keine Gewalt dar. Umstritten sind die Fälle, in denen die Kraftentfaltung unmittelbar nicht die Vollstreckungsbeamten, sondern eine Sache betrifft und sich daraus nur eine mittelbare Einwirkung auf die Vollstreckungsbeamten ergibt. Im Rahmen von § 240 dStGB (sowie auch §§ 249, 252, 253, 255 dStGB) gilt bereits eine geringfügige körperliche Kraftentfaltung als Gewalt, wenn dadurch ein tatsächlich geleisteter oder erwarteter Widerstand überwunden werden soll. Während nach dem klassischen Verständnis die körperliche Kraftentfaltung unmittelbar als physischer Zwang auf den Betroffenen einwirken musste, reicht nach heutiger Ansicht bereits eine Einwirkung als psychischer Zwang aus, sofern sich daraus auch physische Auswirkungen ergeben (z.B. durch das Aufstellen eines physischen Hindernisses). Nach der Rechtsprechung kann somit auch die Durchführung einer Sitzblockade eine Gewalteinwirkung darstellen, wenn durch das erste, zum Anhalten gezwungene Fahrzeug (psychische Zwangseinwirkung), auch die nachfolgenden Fahrzeuge zum Anhalten gezwungen werden (physische Auswirkung der psychischen Zwangseinwirkung). Anders als im Rahmen des Widerstands gegen Vollstreckungsbeamte kommt es nicht darauf an, dass der Betroffene die Gewalt auch als solche empfindet, sodass eine Gewaltausübung auch gegenüber Schlafenden, Bewusstlosen und Betrunkenen möglich ist. Unterschieden wird schließlich zwischen den Formen der willensausschließenden Gewalt (*vis absoluta*) und der willensbeugenden Gewalt (*vis compulsiva*). Im **georgischen Strafrecht** wird der Gewaltbegriff im Zusammenhang mit dem Delikt des Widerstands, der Drohung oder Gewalt gegen einen Polizeibeamten, einen Angestellten einer Strafvollzugseinrichtung oder einen sonstigen Vertreter der Staatsgewalt (Art. 353 gStGB) u.a. verstanden als Schläge, Gesundheitsschäden, Freiheitsbeschränkungen oder ähnliche Handlungen, wodurch Polizeibeamte oder andere Ordnungshüter an der Erfüllung ihrer Pflichten gehindert oder zur Vornahme einer rechtswidrigen Handlung genötigt werden sollen. Ein erschwerender Umstand liegt vor, wenn der Tat von einer Gruppe begangen wird (Art. 353 Abs. 2 gStGB). Der Widerstand gegen Polizeibeamte oder sonstige Ordnungshüter kann sich beispielsweise in der Behinderung der Strafverfolgung oder der Ermöglichung eines Fluchtversuchs durch Vereitelung einer rechtmäßigen Festnahme manifestieren. Eine ähnliche Regelung beinhaltet Art. 384 gStGB aus dem Bereich der Militärdelikte. Nach Art. 384 Abs. 1 gStGB ist es strafbar, Widerstand gegen einen Vorgesetzten

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

mit Gewalt durchzusetzen oder einen anderen mit Gewalt von der Erfüllung seiner Wehrpflicht entweder abzuhalten oder zu deren sonstiger Verletzung zu nötigen. Das deutsche und das georgische Recht entsprechen sich bezüglich des Gewaltbegriffs insofern, als dass dieser jeweils nicht abstrakt, sondern deliktsspezifisch geregelt ist bzw. zu interpretieren ist. Auch wird in beiden Rechtsordnungen die Unterscheidung zwischen willensausschließender und willensbeugender Gewalt anerkannt. (Mpi/Msh)

ძალადობა

„ძალადობის“ ცნების მნიშვნელობა, განსაკუთრებით მის საზღვრებთან დაკავშირებით, სადავოა გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თუმცა არსებობს იმ საკითხზე თანხმობა, რომ „ძალადობის“ ცნების განმარტება დამოკიდებულია დანაშაულის სპეციფიკაზე და იგი გაგებულ უნდა იქნეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში უფრო ვიწროდ (გსსკ-ის 113-ე პარაგრაფი), ვიდრე ზოგადად იძულების დროს (გსსკ-ის 240-ე პარაგრაფი). გსსკ-ის 113-ე პარაგრაფი ძალადობას განიხილავს, როგორც აქტიურ ფიზიკური ძალის გამოყენებას მიმართულს საჯარო მოხელეების მიმართ – და ასე აღიქმება სამართალდამცავების მიერ, რომელიც დამნაშავეს მიაჩნია, რომ საკმარისია საჯარო მოხელის მოქმედების გასართულებლად ან აღსაკვეთად (მაგ. დარტყმა, ჩაკეტვა). მეორე მხრივ წმინდა პასიური ქცევა (მაგ. სამართალდამცავების მითითების ან მოთხოვნის შეუსრულებლობა) არ წარმოადგენს ძალადობას. სადავოა ისეთი შემთხვევები, როდესაც ძალის გამოყენება პირდაპირ არ არის მიმართული სამართალდამცავების მიმართ, არამედ მიემართება საგნებს და მხოლოდ ირიბი გავლენა აქვს სამართალდამცავების მიერ უფლებამოსილების განხორციელებაზე. გსსკ-ის 240-ე პარაგრაფის, ისევე, როგორც ამავე კოდექსის 249, 252, 253, 255 პარაგრაფების თანახმად, ძალის უმნიშვნელო ფიზიკური წინააღმდეგობაც კი ითვლება ძალადობად, თუ ის გამიზნულია რეალური და მოსალოდნელი წინააღმდეგობის დასაძლევად. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური გაგების თანახმად, ფიზიკური ძალის გამოყენებას უნდა ჰქონდეს უშუალო გავლენა დაინტერესებულ ადამიანზე (მსხვერპლზე), როგორც ფიზიკური იძულება. დღევანდელი შეხედულების თანახმად, საკმარისია ფსიქოლოგიური იძულება, თუ მას ფიზიკური ზემოქმედებაც შეიძლება მოჰყვეს (მაგ. ფიზიკური დაბრკოლება). სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მჯდომარე ბლოკირება შეიძლება იყოს ძალადობის აქტი, თუ ის აიძულებს პირველ ავტომობილს გაჩერდეს (გონებრივი იძულება), ხოლო დანარჩენი ავტომობილებიც იძულებულები არიან გააჩერონ (ფსიქოლოგიური იძულების ფიზიკური ეფექტი). სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის საკითხისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი არ არის, რომ დაინტერესებულმა პირმა (დაზარალებულმა) ძალადობა აღიქვას, შესაბამისად,

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

შესაძლებელია ძალადობა მიმინარე, უგონოდ მყოფი ან მთვრალი პირების მიმართ. და ბოლოს, ორივე სამართლებრივ სისტემაში ასევე აღიარებულია განსხვავება ნების გამომრიცხავ ძალადობის ფორმებსა (*vis absoluta*) და ნების დამმორჩილებელ ძალადობას შორის (*vis compulsiva*). ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „ძალადობის“ ცნებაში იგულისხმება პოლიციელის, სასჯელაღსრულების დაწესებულების ან სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა, ძალადობის მუქარა ან ძალადობა (სსსკ-ის 353-ე მუხლი), როგორცაა: ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა ან მსგავსი ქმედებები, რომლითაც პოლიციელები და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ხელი ეშლებათ უფლებამოსილების შესრულებაში ან იძულებულები არიან უკანონო ქმედება ჩაიდინონ. დამამძიმებელი გარემოება სახეზეა, თუ ქმედება ჩადენილია ჯგუფურად (სსსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი). პოლიციელების ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა შეიძლება გამოიხატოს მაგალითად, დაკავებისათვის ხელის შეშლაში ან კანონიერი დაკავებისას გაქცევის ცდაში, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. მსგავს რეგულაციას შეიცავს სსსკ-ის 384 მუხლის 1-ელი ნაწილი (სამხედრო დანაშაული). ამ მუხლის თანახმად, დასჯადია ძალის გამოყენება უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევა ან ძალის გამოყენება სხვა პირის მიმართ, ვინც ასრულებს სამხედრო სამსახურს, ან/და მისი იძულება დაარღვიოს ეს მოვალეობა. გერმანული და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეესაბამება ძალადობის ცნებას, რამდენადაც იგი არ არის აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული დანაშაულის შესაბამისად განისაზღვრება. ორივე სამართლებრივი სისტემა განსხვავებს ნების გამომრიცხავ და ნების დამმორჩილებელ ძალადობას. (Mpi/Msh)